განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რაინდი როდონაია

წევრ(ებ)ი:

მარიამ ჭყონია

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	230867005

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაიში
ფაქტობრივი მისამართი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაიში
საფოსტო ინდექსი	2300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tetkhaishi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	591813131

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N1849357 და ცვლილება ბრძანებაში N42855, 21/01/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	27 და 28 იანვარი 2026 წელი.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 27 და 28 იანვარს განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის გემიური ვიზიტი სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლაში, რომლის მიზანი იყო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას. ადგილზე იმყოფებოდნენ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები რაინდი როდონაია და მარიამ ჭყონია. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტები შეხვდნენ სკოლის წარმომადგენელებს და დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის ბოლოს გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
150	67

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციისგაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, ასევე გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში, სტანდარტის შესაბამისად რიგი კომპონენტებისა სრულად შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა ნაწილობრივ შესაბამისად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა	☐	

რაოდენობა: ----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების	1. სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმ დამტკიცება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **01/04/2026წ.** 2.სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნ მოპოვება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **01/02/2028წ.** 3. სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე არსებულ

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	გამოუყენებელი ძველი ნაგებობების მოწესრიგება შესაბამისობ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **01/04/2026წ.**
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის სრულად ადაპტირება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **01/02/2028წ.**
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	*სასკოლოკურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რჩევა,რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას, რათა დაგეგმვის პროცესი იყოს აქტუალური და სრულად ასახავდეს სასკოლო საზოგადოების მიმდინარე მოვლენებსადა საჭიროებებს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სასურველია, სკოლამ მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ მუდმივად ხდებოდეს სკოლის წყალმომარაგება.
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზი გათბობით და მოაწყოს გასახდელები.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლოკურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა**	**სტანდარტის შესრულების რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესის“ შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებასთან	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,	1.სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **06.10.2023-10.06.2024 წწ.** უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო კამერების შეძენა/დამონტაჟებისთვის დაფინანსების მოპოვება	1. რეკომენდაცია შესრულებულია

	სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**2**. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **06.10.2023-10.06.2024 წწ.** უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა. **3**. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **06.10.2023-10.06.2024 წწ** უზრუნველყოს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება. **4.**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **06.10.2023-10.06.2024 წწ** უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.	**2.** რეკომენდაცია შესრულებულია **3**. რეკომენდაცია არ არის შესრულებული **4.** რეკომენდაცია არ არის შესრულებული

		5. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **06.10.2023-10.06.2024 წწ.** უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება	**5.** რეკომენდაცია შესრულებულია.
ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **10.10.2023-20.12.2023 წწ.** საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სრულყოფილად დაამუშაოს სასწავლო რესურსების კატალოგი.	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **01.09.2023-30.11.202 წწ.** უზრუნველყოს ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა.	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში	

	შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე რომელზეც ახორციელებს სწავლებას	გაწერილი ვადების მიხედვით **01.09.2023-30.11.2023 წწ.** უზრუნველყოს ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა.	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია,ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით **01.09.2023-30.11.2023 წწ.** უზრუნველყოს ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა.	რეკომენდაცია შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა დანერგოს ხარისხიანი განათლება, შექმნას ხელსაყრელი პირობები, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, აქტიური მოქალაქეების აღსაზრდელად. დაწესებულება გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე, სკოლა პრიორიტეტულად მიიჩნევს სამართლიანი, მზრუნველი, გამჭირვალე გარემოს შემქნას, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. დაწესებულება არსებული მისიით და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის ფორმირებაში. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით). სკოლის საზოგადოების პრიორიტეტებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სასკოლო გარემოს შექმნას, რაც მოიაზრებს როგორც ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, ასევე დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის N28 ბრძანება ,,სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ”, ასევე სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N26 ბრძანება, ,,სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ”. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და ვიზიტის დროსაც გამოიკვეთა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი ძირითადად ზეპირი უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინებით არის შემუშავებული და ამ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად, ის დამტიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, ასევე დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: ა) სკოლის ვებ-გვერდი; ბ) სოციალური ქსელი გ) სკოლის სტენდი; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას აქვს ვებ.გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის შესასვლელში, ფოიეში ფილოსოფია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება „სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა
სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის ვებ-გვერდი
სკოლის ფილოსოფიის (მისიის ხედვის ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ისე ფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის N28 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით. სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ✓ ადამიანური რესურსის განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ✓ ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან და სკოლის მისიიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმა ძირითადად პასუხობს არსებულ საჭიროებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის რეალობასთან მაქსიმალური თანხვედრა, რათა დაგეგმვის პროცესმა არ დაკარგოს აქტუალობა და სრულად ასახავდეს სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. სასურველია, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სკოლამ უფრო ნათლად განსაზღვროს სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების კავშირი მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებთან, რაც უნდა აისახოს კონკრეტულ და გაზომვად ქმედებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული კომუნიკაცია მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმა პასუხობს არსებულ საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025–2026 წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. თუმცა, გეგმის შემუშავების პროცესში არასაკმარისად არის წარმოდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც ცხადყოფდა დაგეგმილი მიზნებისა და აქტივობების პირდაპირ კავშირს მიზნობრივი ჯგუფების რეალურ საჭიროებებთან. აღნიშნული კავშირი ნაკლებად აისახება კონკრეტულ, შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებში. სასურველია სამოქმედო გეგმის გადახედვა და მისი არსებითად შესაბამისობაში მოყვანა რეალურ კონტექსტთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი აქტუალობა და შესაბამისობა სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას, რათა დაგეგმვის პროცესი იყოს აქტუალური და სრულად ასახავდეს სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების
მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტის მე-11 მუხლის მიხედვით, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებისა და შეფასების გზით და მიზნად ისახავს დაგეგმილი მიზნების მიღწევის ხარისხისა და სკოლის სტრატეგიის ეფექტიანობის განსაზღვრას. მონიტორინგის პროცესში სკოლა იყენებს ანგარიშგების მეთოდს, რომლის ფარგლებში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წერილობით ანგარიშს წარმოადგენენ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. წარმოდგენილი სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების და ადმინისტრაციასთან გამართული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურული რგოლის ჩართულობით. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიში, განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ანგარიშები ეყრდნობა დაკვირვებისა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ასევე, სკოლა სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული შესრულების ინდიკატორების მეშვეობით გეგმავს შედეგების შეჯამებასა და შეფასებას. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ სკოლა მომავალში გააგრძელებს მუშაობას სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, მეთოდოლოგიის თანახმად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტები, განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლასთან გამართული საუბრისას დადასტურდა, რომ თანამშრომლები სწორად აფასებენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის მნიშვნელობას. მათი განცხადებით, ანგარიში წარმოადგენს ერთგვარ პრევენციულ ინსტრუმენტს. ნებისმიერ პრობლემას, რომელიც ანგარიშში ფიქსირდება, იღებენ მხედველობაში მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისას. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლაში აქტიურად გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების
მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
სკოლის სამოქმედო გეგმა
სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1.სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობისგან ხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციების ჩამონათვალს, უფლება-მოვალეობებსა და მართვის წესს. ბრძანების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივ კათედრებს და მრჩეველთა საბჭოს. ბრძანებებში განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები და მოვალეობები ასევე გაწერილია სკოლის პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანებების ,,სკოლის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცება“ და ,,პერსონალის მართვის წესი“ შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სკოლის ძირითადი საქმიანობის ეფექტიანად განხორიელებას. სკოლის დირექციის განმარტებით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობების განაწილება ხდება ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული/პირი ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგანილი წესით განსაზღვრულ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცება

პერსონალის მართვის წესი

შრომითი ხელშეკრულებები

სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს ოქმები

კათედრის ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პერსონალის მართვის პროცესებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებსა და პოლიტიკას. სკოლის მიერ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აგრეთვე შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, რომლებიც დადგენილია სკოლის მიერ. აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს ხელოვნების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და ამავდროულად აქვს 14 საგაკვეთილო საათი, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებს (,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად: მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა). არგუმენტირებულ დასაბუთებაში სკოლამ აღნიშნა, რომ ხელოვნების

მოწვეულ მასწავლებელს ამჟამად აქვს 9 საგაკვეთილო საათი, ხოლო დანარჩენ საათებზე გამოცხადდა ვაკანსია. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. მასწავლებლების მხრიდან გაცდენები იშვიათია, მაგრამ გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექტორით განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილება, ხოლო ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის გამოცხადება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სკოლის პერსონალის შერჩევის წესი“ და ,,პერსონალის მართვის წესი”, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები, რომელიც ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაყრდნობით. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შერჩევას და მოზიდვას. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე teacherjobs.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის დაცვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შიდა ან ღია

კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნასამართლეობის ცნობები. სკოლამ არგუმენტირებულ დასაბუთებაში წარმოადგინა ნასამართლეობის ცნობები, შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს. სკოლას საშტატო ნუსხის შესაბამისად ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი და ცეცხლფარეში. სკოლაში ასევე დასაქმებულია 19 მასწავლებელი, აქედან 3 წამყვანი, 13 უფროსი, 1 სპეციალური და 2 მოწვეული მასწავლებელი. თითოეულ პედაგოგთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესის“ შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებასთან. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიული წარმატება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის შინაგანაწესი, რომელთა მიხედვითაც წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებელები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში,

კონკურსებში, სემინარებსა და კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

პერსონალის მართვის წესი

პერსონალის შერჩევის წესი

შრომითი ხელშეკრულებები

შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, ხოლო თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ეს საკითხი განხილულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბრძანებაში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანალიზის

საფუძველზე ახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა, ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. სკოლა ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. იმისთვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მან უნდა გაიაროს ადაპტაციის პროცესი. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" არეგულირებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა წახალისების ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი შეიცავს პერსონალის წახალისების მეთოდებსა და მათი გამოყენების წესს, რაც ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება
გაკვეთილებზე დასწრების გეგმა
დაკვირვების რუბრიკა
შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3.პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექტორის მოადგილე. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს: რისკების შეფასებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, შემოწმების განხორციელებას, დასკვნის შედგენას და უკუკავშირს, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შეფასდება გარე შემფასებლის მიერ. ამდენად, სკოლის

საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. დოკუმენტის მიხედვით მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განვითარება, საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა და სხვა. დოკუმენტი ასევე შეიცავს პროცესების აღწერას და მის გამოყენების წესს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი". დოკუმენტის მიხედვით სკოლაში წარდგენილი საჩივარი/განცხადება განიხილება ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ეს წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე, მათ მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირზე, ვისაც სურს განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას. ასევე განსაზღვრულია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურები. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს არჩეული დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არის საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება და სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვა", სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად,

სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომლითაც სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. როგორც დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, სკოლაში კანონიერი უფლებების დარღვევის თაობაზე მიმართვის შემთხვევები არ ყოფილა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვა
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი
შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შემუშავებული აქვს „მშობლებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ეს წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების

განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების წესს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებგვერდი, ელფოსტა, სოციალური არხი) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი აგრეთვე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზსა და რეაგირების ფორმებს. სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელების საშუალებით. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ, განიხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს ოქმები. ასევე დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი, რაც ადასტურებს, რომ სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მართვის კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მშობლებთან ურთიერთობის წესი
სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმები
დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი
ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოების პოლიტიკა", რომლის პირველი თავი ეთმობა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს და არეგულირებს სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურებს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისის სერთიფიკატი. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 19 ვიდეო კამერა, სკოლას ასევე ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლის ეზოში მდებარეობს ორი გამოუყენებელი ძველი შენობა, რომელიც არის ღია მდგომარეობაში, არ არის დალუქული და საჭიროებს მოწესრიგებას, რათა სკოლამ თავიდან აიცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავლების გავრცელება. სკოლას არ აქვს დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, მაგრამ არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ასევე სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია:

1. ვიდეოსათვალთვალო კამერების შეძენა/დამონტაჟებისთვის დაფინანსების მოპოვება. სკოლის მიერ ეს რეკომენდაცია შესრულებულია.
2. შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება. რეკომენდაცია არ არის შესრულებული.
3. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

4. შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება. რეკომენდაცია შესრულებულია.

სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის სასწავლო ნაწილის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მისი ექსპლუატაცია ამ ეტაპზე უსაფრთხო და დასაშვებია, თუმცა სპორტული დარბაზის ფლიგელისა და გადასასვლელი შენობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და არსებული სახით მათი ექსპლუატაცია დაუშვებელია.

სკოლამ არგუმენტირებულ დასაბუთებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა რომ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ძველი, გამოუყენებელი შენობების მოაწესრიგებას **01/04/2026** წელს.

ასევე სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. არგუმენტირებულ დასაბუთებაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას **01/04/2026** წელს, ხოლო შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას **01/02/2028** წელს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც არის კეთილმოწყობილი და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. ვინაიდან სკოლამ კონკურსის წესით ვერ შეძლო სათანადო კვალიფიკაციის ექიმის შერჩევა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით კონკურსის წესით აიყვანა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიცავს ექთნის ვალდებულებას, მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე, შეაფასოს მისი სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია აეყვანა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი. სკოლის მიერ ეს რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. კონტროლდება უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის საშუალებით. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და იღებს სკოლის დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. როგორც დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, ვინაიდან სკოლა მცირეკონტინგენტიანია დარღვევები იშვიათია, ხოლო მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში კი დროულად ხდება კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“. ჰყავთ კონკურსის წესით შერჩეული ექთანი, რომელიც მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პასუხისმგებელია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და ახორციელებს მონიტორინგს. სკოლის მიერ შეძენილი სანიტარული-ჰიგიენური საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ სათავსოში. სკოლას ასევე ჰყავს 3 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისუფთავის დაცვაზე, რაც უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობაში არ არის სველი წერტილები, ამიტომ

იყენებენ სკოლის ეზოში არსებულ სველ წერტილს, რომელიც მარაგდება ტექნიკური წყლით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას დროებით არ მიეწოდებოდა წყალი, ამიტომ სასურველია, სკოლამ მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ ხდებოდეს სკოლის მუდმივი წყალმომარაგება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები", რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმს, აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს და მათ უფლებამოსილებას. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით,შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

8. სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უსაფრთხოების პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები

მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5.მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში. სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 3819.9 კვ.მ საერთო ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2014 წელს. სკოლის შენობა არის ორსართულიანი, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი არის გაურემონტებელი, იქ არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და გამოიყენება მხოლოდ სპორტული დარბაზი, სადაც არ არის გასახდელები და ასევე არ არის გათბობა. სასურველია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზი გათბობით და მოაწყოს გასახდელები. სკოლაში საკლასო ოთახების რაოდენობა საკმარისია სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (150) მოსწავლეებისთვის ერთ ცვლის პირობებში. სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, ასევე სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, რესურსოთახი, ქიმია-ბიოლოგიის ოთახი, გეოგრაფიის ოთახი, სამოქალაქო განათლების ოთახი, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა, სპორტული ინვენტარი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის

ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,რესურსებით სარგებლობის წესი", სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, არსებული რესურსებით სარგებლობისა და გამოყენების, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დებულების თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პასუხისმგებელია სახელმძღვანელოების მიღებაზე, დამუშავებაზე და აღრიცხვაზე, ასევე დადგენილი წესით საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალებში და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში, ასევე თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს სათანადო ნომერი. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის სრულყოფილად დამუშავება. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე. გამოყოფილია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ასევე სკოლას აქვს შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები, მაგრამ სკოლას არ აქვს პირველ და მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი ან პანდუსი. სკოლამ არგუმენტირებულ დასაბუთებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითა, რომ სკოლის სრულად ადაპტირება განხორციელდება **01/02/2028**

წელს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმეტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც ნაწილობრივი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის შენობაში არის კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი, სადაც სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფილია შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეების მონაწილეობით, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საკადასტრო ნახაზი

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

რესურსებით სარგებლობის წესი

ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კომპიუტერული ოთახი. სკოლის ბალანსზე ირიცხება 19 ლეპტოპი, 3 პროექტორი და 5 პრინტერი. სკოლაში არის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და პერსონალი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტებითა და ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,რესურსებით სარგებლობის წესი", რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ოთახში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლა აქვს საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა: კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას

მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
რესურსებით სარგებლობის წესი
მიღება-ჩაბარების აქტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზაციულ სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის

სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვა. ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც ასევე ახორციელებს წერილების მიღებას, რეგისტრაციას და გაგზავნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს, კერძოდ, 10 დეკემბრამდე ანგარიშის წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ანგარიშის საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნება, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საქმისწარმოების წესი
ვებგვერდი
დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მშობლებთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. სკოლას საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის/კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის *გავრცელებას* და ამისთვის იყენებს ვებგვერდს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, დახურული სოციალური ქსელებიდან, თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომლის შესაბამის გვერდზეც განთავსებულია სავალდებულო ინფორმაციები სკოლის შესახებ. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის სრულყოფა. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობლებთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილია საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა დგება წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. სკოლის ბიუჯეტზე გათვალისწინებით, სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი

შესყიდვების წლიური გეგმა და წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“ და სკოლის შინაგანაწესი, სადაც აღნიშნულია მოსწავლეთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სკოლაში. ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის თავმჯდომარე სამეურვეო საბჭოს წევრიც არის. უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკონტროლი, ასევე დირექტორის მიერ დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც ატარებს შეხვედრებს ბულინგის, კიბერბულინგის, ნარკოტიკული ნივთიერებების, ალკოჰოლის, ფეთქებადი ნივთიერებების და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ. მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით სკოლაში განხორციელდა რამდენიმე ინოვაციური პროექტი, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და შემოქმედებით განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ვებ-გვერდი, საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი. დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაცია შეტანილია შინაგანაწესში და მოსწავლეები მას დეტალურად ეცნობიან. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს ზეპირსიტყვიერად აცნობენ გასაჩივრების წესსა და პროცედურებს. სკოლაში ფუნქციონირებს დამტკიცებული დისციპლინური კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებთან შეხვედრების გზით აწვდის ინფორმაციას დისციპლინური საკითხების შესახებ**. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის განმავლობაში აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. აღნიშნულის შესრულება დასტურდება მშობელთა კრებების ოქმებით. ასევე, სოციალური ქსელის საშუალებით ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;
მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები
მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
მშობელთან კომუნიკაციის წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანების საფუძველზე და სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თითოეული პროცედურის ეტაპები, ვადები და საჭირო დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და სამართლებრივ სისწორეს. ასევე განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და მათი სათანადო დოკუმენტირების წესი, რაც ხელს უწყობს ერთგვაროვან და თანმიმდევრულ ადმინისტრაციულ პრაქტიკას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შესახებ", ,,მოსწავლის ჩარიცხვის", ,,საფეხურის დაძლევის", ,,მობილობის შესახებ" ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, რაც დადასტურდა სკოლაში მოქმედი რეგულაციების, მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში თითოეული კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათ უფლებებსა და სკოლის წესებს, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გაცნობა შესაძლებელია ვიზუალიზაციის, სახელოვნებო ან შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული აქტივობები დოკუმენტირდება დამრიგებლის პორტფოლიოში, რაც მოიცავს მშობელთა კრების ოქმებს, შესრულებული აქტივობების დამადასტურებელ ფოტომასალას და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. კლასის დამრიგებლის პორტფოლიო ადასტურებს სკოლის მზადყოფნას უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი ეფექტური გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სკოლასთან და ხელმისაწვდომია როგორც სკოლის ტერიტორიაზე, ისე ინტერნეტ სივრცეში, არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ფორმალურ ან არაფორმალურ სასწავლო აქტივობებსა და პროექტების დროს ფოტოების გამოყენების შემთხვევაში სკოლა წინასწარ წერილობით იღებს მშობლების თანხმობას. სკოლაში გავრცელებული ინფორმაცია გადამოწმებულია და ეფუძნება ეთიკის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ

მოსწავლეთა პირადი საქმე;

სადამრიგებლო პროგრამა.

E-school-ის ბაზა;

შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", დოკუმენტში მუხლებად არის განსაზღვრული პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. მაგალითად, პირველკლასელთათვის გათვალისწინებულია ადაპტაციის საწყისი პერიოდი, რომლის ფარგლებში კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლის ჩართულობასა და სოციალურ უნარებს. სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა, ხოლო მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის – ახალი გარემოს გაცნობისა და სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის ხელშემწყობი შეხვედრების ორგანიზება. აღნიშნული წესი ასევე გამოიყენება იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის მხარდასაჭერად, რომლებსაც სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისას ენობრივი ბარიერი აფერხებს. ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს მშობლის დროულ და სრულყოფილ ინფორმირებას აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით, მაგალითად, ინდივიდუალური შეხვედრების, წერილობითი შეტყობინებების ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სკოლის მასწავლებლებს და დამრიგებლებს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა აკადემიური და სოციალურ–ემოციური ჩართულობის პროცესში, ქმნიან მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს და ხელს უწყობენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. ადაპტაციის პროცესი მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ-ემოციურ მხარდაჭერას, რათა თითოეულმა მოსწავლემ თავი უსაფრთხოდ, მიღებულად და მოტივირებულად იგრძნოს მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალისტები. დაწესებულებას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ პირველკლასელთათვის სწავლის დაწყება მნიშვნელოვანი ეტაპია, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის

დამოკიდებულება სწავლისა და სკოლის მიმართ. შესაბამისად, დაწესებულება პირველივე დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაიარონ სკოლასთან ადაპტაციის პერიოდი - აწყობს საზეიმო დახვედრას, აცნობს მათ სკოლის ინფრასტრუქტურას და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს სარემედიაციო პროგრამა, რომელიც მიმართულია მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ, მაგალითად: არასაკმარისი სკოლის მზაობა, პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. რემედიაციის პროცესები ორგანიზებულია ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით და უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო ფორმებსა და სტრატეგიებს, რათა მოსწავლემ მოახერხოს სტანდარტების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება. პროგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაბრუნდნენ არასრულყოფილად ნასწავლ/გამოტოვებულ კომპონენტებთან და ისინი ახლებურად განიხილონ და დახვეწონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მოსწავლე და მისი მშობელი ინფორმირებული არიან სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სემესტრული თუ საშემოდგომო გამოცდების შესახებ. ელექტრონული ჟურნალის საშუალებას აძლევს მშობელს თვალი ადევნოს მოსწავლეების ელექტრონულ აღრიცხვას და შეფასებას, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნას, მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. არაფორმალური განათლება ისეთივე მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრებაში, როგორც სწავლების ფორმალური ნაწილი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით შექმნილია კლუბები. სკოლის თვითმმართველობის ჩართულობით აქტიურია და წარმატებით მუშაობს სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობას, მათ შორის კლუბურ საქმიანობას, რომელშიც მოსწავლეთა

აქტიური ჩართულობა შეინიშნება. არაფორმალური განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური განვითარების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან, მაგალითად მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში. ასევე აღნიშნავენ, რომ ამ დრომდე ჩატარებული ღონისძიებების უკუკავშირი და მსგავსი ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად არ აქვთ. ამიტომ მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს უკუკავშირის ფორმა, კითხვარი, რომელსაც გამოიყენებს თითოეულ აქტივობაში, რომ გაზომოს თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მონაწილე და დაინტერესებული პირების შემდგომი ნაბიჯები. მაგალითად, თუ სკოლა ჩაატარებს მშობელთა შეხვედრას, მონაწილეებს შეეძლებათ შეაფასონ: რამდენად მიაღწია შეხვედრამ დასახულ მიზანს; რამდენად იყო ინფორმაცია გასაგები და პრაქტიკულად გამოსაყენებელი; რამდენად იგრძნეს საკუთარი ჩართულობა და მნიშვნელობა პროცესში; რა რეკომენდაციებს სთავაზობენ სკოლას მომავალი აქტივობების გაუმჯობესებისთვის .**ინდიკატორი ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
სადამრიგებლო პროგრამები;
შინაგანაწესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა პროფესიულ სფეროში წარმატებულ ადამიანებს. მოსწავლეთა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, იმართება შეხვედრები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ პირებთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული კოლეჯები სკოლაში ახორციელებენ ვიზიტებს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით, ასევე სკოლა საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მოსწავლეთა გასვლით ვიზიტებს პროფესიულ კოლეჯებში. აღნიშნული აქტივობები ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ფოტომასალა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ კლასის/კლასების ხელმძღვანელები გეგმავენ და ატარებენ საუბრებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან პროფესიის არჩევისა და სწავლის პროფესიულ სასწავლებლებში გაგრძელების საკითხებზე. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ და ხელი შეუწყოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად აფასებს გაწეული მომსახურების შედეგებს. პროფესიული ორიენტაციის მრჩეველი სკოლის დირექციას პირველი და მეორე სემესტრის დასრულების შემდგომ წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული აქტივობის შედეგების შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილია

მონაცემები, თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო ინდივიდუალური კონსულტაცია, რამდენი მონაწილეობდა წრეების ან ვიზიტების პროგრამებში, რა იყო მოსწავლეთა და მშობელთა შეფასება სერვისის ეფექტურობაზე და როგორ არის დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები. ამ ანგარიშების საფუძველზე სკოლა გეგმავს შემდგომი ღონისძიებების კორექტირებას, აქტივობების მოდიფიკაციას და დამატებითი რესურსების განსაზღვრას, რაც საშუალებას აძლევს სერვისს გახდეს უფრო მიზნობრივი, ეფექტიანი და ადაპტირებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებთან. ამგვარად, პერიოდული შეფასება და ანგარიშგება ქმნის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს კარიერული განვითარების სერვისის ხარისხის მუდმივ ზრდასა და სკოლის პროფესიული მხარდაჭერის სისტემის გამართული მუშაობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სხვადასხვა დაწესებულებაში ვიზიტების ამსახველი მასალა;

მშობელთა უკუკავშირი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის

საფუძველზე, სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ინკლუზიური სწავლების პროცესში. მოსწავლე/მოსწავლეები უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაზე და სასწავლო პროცესში მათ სრულფასოვან ჩართულობაზე ერთობლივად ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია (დირექცია), მშობლები და თანაკლასელები. ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და საგაკვეთილო/გარესაგაკვეთილო აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
სპეც. მასწავლებლის ანგარიში
ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით დაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს. ასევე სკოლას არ ემსახურება ტრანსპორტი, რადგან სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მოსწავლე სკოლისგან 2 კმ-ის რადიუსში ცხოვრობს, რაც ტრანსპორტით მომსახურების საჭიროებას არ წარმოშობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. სკოლაში ყველა სახის მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვით და ორიენტირებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა ხდება სკოლის შიდა რეგულაციების მეშვეობით, რომლებიც შემუშავებულია და მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. **ინდიკატორის ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა
ექსკურსიის გეგმა-რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 06/03/2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: